01.04.2021

რწმუნებულება

შპს გტ ბენეფიტსის (ს/ნ 404560051) დირექტორი ზურაბ ტუკვაძე (პ/ნ 01024058793, შემდგომში - მარწმუნებელი) ანიჭებს უფლებამოსილებას კახა ხაინდრავას (პ/ნ 01008039424 - რწმუნებული), რათა მან მარწმუნებლის (შპს გტ ბენეფიტსის) სახელით განახორციელოს შემდეგი უფლებამოსილებები:

1. წარმოადგინოს მარწმუნებლის ინტერესები ქ. თბილისის მერიაში და მის ყველა სამსახურში (მათ შორის არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურებში), მოახდინოს არქიტექტურული პროექტის წარდგენა და შეთანხმება მარწმუნებლის კუთვნილ უძრავ ქონებაზე (საკ. კოდი 01.72.14.034.660), რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი #84.
2. აღნიშნული დავალების შესასრულებლად რწმუნებული უფლებამოსილია შეიტანოს და დაარეგისტრიროს განცხადებები შესაბამის სამსახურებში, გამოითხოვოს და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია, გადაიხადოს მოსაკრებლები და შეასრულოს სხვა საჭირო ქმედებები.

წინამდებარე რწმუნებულება ძალაშია 2021 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

შპს გტ ბენეფიტსის დირექტორი
ზურაბ ტუკვაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N210306729
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	01.04.2021 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	მინდობილობაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო მათუაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 10
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 38 36 32 591 70 99 74
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	24685037849821

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ოცდაერთი წლის პირველ აპრილს მე – საქართველოს ნოტარიუს ნინო მათუაშვილს, რომლის სანოტარო ბიურო, მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №10, მომმართა **ზურაბ ტუკვაძემ** (დაბ. 25.04.1989წ., პირადი #01024058793, მისამართი: თბილისი, ზ.ფანასკერტელ-ციციშვილის ქ. N 9 ბ. 116).

მან წარმოადგინა ***რწმუნებულება*** *და მთხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მხარის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და სსგს ელექტრონული მონაცემთა ბაზის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ზ/აღნიშნულმა პირმა მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, და ვადასტურებ რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს; აგრეთვე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ მხარემ ჩემი თანდასწრებით წაიკითხა დოკუმენტი და პირადად მოაწერა ხელი წარმოდგენილ დოკუმენტს. ხელმომწერ პირს განვუმარტე, რომ მე ვადასტურებ ხელმოწერის სინამდვილეს და პასუხს არ ვაგებ დოკუმენტის შინაარსზე და სამართლებრივ შედეგზე. ნოტარიუსის თანდასწრებით, დოკუემენტზე ხელმოწერა შესრულებულია ერთ გვერდზე და გაცემულია ორ ეგზემპლარად.*

გადახდილია საზღაური სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს მთავრობის 507 დადგენილების (29.12.2011წ) 31-ე მუხლის თანახმად – 4,00 ლარი, აგრეთვე დღგ 0.72 ლარი - საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე, და ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 2 ლარი დღგ-ს ჩათვლით თანახმად საქართველოს მთავრობის 507 დადგენილების 39-ე მუხლის თანახმად.

ნოტარიუსი ნინო მათუაშვილი

საქართველო ნოტარიუსი ნინო მათუაშვილი * ГРУЗИЯ. НОТАРИУС НИНО МАТУАШВИЛИ * GEORGIA. NOTARY NINO MATUASHVILI * 35010190055